



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, განათლების  
დონე

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი - 27.01.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

13.04.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	10
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	10
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	23
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	31
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	37
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები .....	50

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
ინსტიტუციის ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ჯონათან ჯეიმს ლუზი, ლონდონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი.
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი ნიჟარაძე - შპს თავისუფალი უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე – სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე – შპს კავკასიის უნივერსიტეტი

<sup>1</sup> ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდის და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ფსიქოლოგია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Psychology
უმაღლესი განათლების საფეხური	8
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ფსიქოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313 ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	50
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, ცალ-ცალკე მიეთითება თითოეული დაწესებულებისთვის, თუ განსხვავებულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>**

თსუ-ს ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა აკრედიტაციისთვის წარდგენილი ახალი პროგრამაა. ამ ახალი პროგრამის შემუშავების გადაწყვეტილებას მრავალი შიდა მიზეზი აქვს. ახალი პროგრამა ანაცვლებს წინა სადოქტორო პროგრამებს ფსიქოლოგიაში, რომელთაც უფრო კონკრეტული სათაურები ჰქონდათ. ეს საშუალებას იძლევა მისანიჭებელი კვალიფიკაცია ("ფსიქოლოგიის დოქტორი") სწორად შეესაბამებოდეს პროგრამების სათაურს. ეს ერთი პროგრამა ასევე მიზნად ისახავს მომსახურების რაციონალიზაციას და გამარტივებას. ახალი პროგრამის დამტკიცებას ასევე მოჰყვა თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების გადახედვა (აკადემიური საბჭოს დადგენილება No. 245/2018), სადისერტაციო საბჭოს გადატანას ფაკულტეტიდან უნივერსიტეტის დონეზე და ამ ცვლილებების ასახვა პროგრამის დიზაინში. ასევე არსებობს ახალი პროგრამის შემუშავების გარე მიზეზები. ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ჩატარებულმა კურსდამთავრებულთა გამოკითხვამ (2022 წლის მარტი) დაარწმუნა ფაკულტეტი, რომ დიდი მოთხოვნაა ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებზე და ზოგადი პროგრამა ფსიქოლოგიაში საშუალებას აძლევს აპლიკანტთა უფრო ფართო სპექტრს გააგრძელონ მუშაობა ამ სფეროში. ეს ასევე ხაზს უსვამს აკრედიტაციის ერთ მნიშვნელოვან მიზეზს; ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამას აქვს საჭირო ფართო სპექტრი, რაც გულისხმობს იმას, რომ პროგრამა სთავაზობს შესაბამის აკადემიურ სტანდარტებსა და მაღალი ხარისხის განათლებას ფართო ინტერესების მქონე პოტენციურ სტუდენტებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროგრამა არის მრავალი არსებული პროგრამის მემკვიდრე, ის ასევე ეფუძნება არსებულ გამოცდილებას, სასწავლო გეგმას, სილაბუსებსა და პროცესებს და ისწავლება იმ აკადემიური პერსონალის მიერ, რომელსაც უკვე აქვს ეს გამოცდილება. ამრიგად, პროგრამის დიზაინი, მიუხედავად იმისა, რომ ახალია, ეფუძნება არსებულ ტრადიციებსა და პრაქტიკას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26-27 იანვარს. ვიზიტი განხორციელდა ონლაინ Zoom-ის საშუალებით. პანელმა შეხვედრები გამართა რამდენიმე ჯგუფთან. კერძოდ: თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, დოქტორანტების ხელმძღვანელები, ადმინისტრაციული პერსონალი, ფსიქოლოგიის წინა სადოქტორო პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. პანელმა ასევე შეაფასა ფაკულტეტის სხვა პროგრამა იმავე ვიზიტის დროს, და სადაც ერთი და იგივე საკითხები და პერსონალი იყო შესაბამისი ორივე პროგრამისთვის, შეხვედრები გაერთიანდა. შეხვედრები მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყო თარგმანი. შეხვედრებზე კომუნიკაცია ეფექტურად და ზუსტად, განრიგის მიხედვით მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის თანამშრომლებმა უპასუხეს მოთხოვნილ კითხვებს და პანელი ზოგადად კმაყოფილი იყო, თუმცა სასურველი იქნებოდა უფრო მეტი ადამიანისთვის

---

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიწოდებისას მიზანშეწონილია წარმოადგინოთ საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემთა ანალიზი.

მოესმინათ თითოეულ შეხვედრაზე ჩართული პერსონალიდან და არა ერთი და იგივე ხმებისათვის. საერთო ჯამში, პანელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტს აქვს ამბიცია განავითაროს თავისი კვლევითი საქმიანობა და რომ მას აქვს ამის შესაძლებლობა, თუმცა შეზღუდული რესურსების პირობებში. ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა აკადემიური პერსონალის მისაბაძი ენთუზიაზმი დისციპლინის, კვლევისა და სტუდენტების მიმართ, და ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მისაბაძი ენთუზიაზმი სწავლების მიმართ, რომელსაც ისინი იღებდნენ/მიიღეს. შესაბამისად, პანელის მიერ დეტალური შეფასება განხორციელდა გარემოში, სადაც ჩანს სასურველი ამბიცია და განვითარება კვლევაში. ვიზიტმა წარმოადგინა პირველადი მტკიცებულება იმისა, რომ, ზოგადად, პროგრამა შემუშავებული იყო სისტემატურად და კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პანელის თითოეული წევრი პასუხისმგებელი იყო კონკრეტულ სტანდარტზე და ასევე გარკვეულწილად ჩართული ყველა სტანდარტის შეფასებაში. პანელმა დაასკვნა, რომ პროგრამა ან შეესაბამება ან მეტწილად შეესაბამება ყველა სტანდარტს, შემდეგნაირად:

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია

## **რეკომენდაციები**

პანელმა აღნიშნა 1-ლი სტანდარტის ყოვლისმომცველი მნიშვნელობა და რომ აქ რეკომენდაციების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცვლილებები მთელს პროგრამაში.

### **კომპონენტი 1.1**

- საჭიროა გარკვეული მიზნების შემუშავება, რათა უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ნაკრები, რომელიც პროგრამამ უნდა განავითაროს თავისი კურსდამთავრებულებში. ეს მოიცავს კვლევის, ცოდნისა და უნარების ტიპების დაზუსტებას, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს და რომლითაც უნდა აღიჭურვოს სტუდენტი მოცემული მიზნების მისაღწევად. მაგალითად: (i) როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები როგორც ექსპერიმენტული, ასევე სავალე კვლევებისთვის; (ii) როგორც ემპირიული, ასევე თეორიული/კონცეპტუალური სამუშაო ფსიქოლოგიაში; და (iii) როგორც ის უნარები, რომლებიც საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ პერსონალად მუშაობისთვის, ასევე პროფესიონალ ფსიქოლოგად მუშაობისთვის, უნივერსიტეტის მიღმა.
- საჭიროა მუშაობა მიზნების ზემოაღნიშნული განვითარების შედეგების უფრო ნათლად ჩამოსაყალიბებლად, ისე, რომ ისინი ეხებოდეს მთლიანად პროგრამას.

### **კომპონენტი 2.3**

- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის ყველა დოკუმენტაციის სისწორე. კერძოდ, სასწავლო გეგმის რუკაში პროგრამის სწავლის შედეგების მითითებების გადამოწმება, რათა უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი ყოვლისმომცველია და მიუთითებს პროგრამის სწავლის შედეგის სწორ ნომერზე (მაგ. PLO 9 (აქვე, PLO აღნიშნავს „პროგრამის სწავლის შედეგს“).

### **კომპონენტი 3.2**

- ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ პროგრამის ყველა ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში, ფორმალურად არის განსაზღვრული. უზრუნველყოფილი იყოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად ერთი და იმავე დონის მხარდაჭერა ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, არაფორმალურობაზე დამოკიდებულების გარეშე. ეს მოითხოვს დოკუმენტირებულ მინიმალურ სტანდარტებს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრების რაოდენობა, სიხშირე და შინაარსი. უნდა განხორციელდეს ამ სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, რათა ფაკულტეტმა შეძლოს მინიმალური (ან უკეთესი) სტანდარტის უზრუნველყოფის ჩვენება ყველა შემთხვევაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

### **კომპონენტი 1.1**

- პროგრამის მიზნებმა ნათლად მოიცვას ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო დაფინანსების მზარდ დონეს, რათა სტუდენტები, რომლებიც ისარგებლებენ პროგრამით, დაფინანსდნენ მთელი სწავლის განმავლობაში.
- პროგრამის მიზნების ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნოს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპეტენციის მუდმივი განვითარების მნიშვნელობა; იდიალურ შემთხვევაში – ინგლისურში, რომელიც არის დისციპლინის ლინგვა ფრანკა. ეს ეხება ყველა სტუდენტს და პერსონალს, ინტერნაციონალურ დისციპლინაში მათი სრული ჩართულობის მხარდასაჭერად. ეს გულისხმობს პროგრამაზე ჩარისცხვისას მოთხოვნილი საბაზისო ცოდნის (B2) მუდმივ განვითარებას, რათა სტუდენტმა მიაღწიოს უფრო მაღალ დონეს (მაგ. C1), რომელიც საშუალებას მისცემს მას შეძლოს უფრო რთული ტექნიკური მასალის ათვისება.

### **კომპონენტი 1.2**

- ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, უსდ-მ თავი აარიდოს სწავლის შედეგებში ტერმინის "თანამედროვე" გამოყენებას, რაც ხაზს უსვამს დისციპლინის წამყვან ადგილს დღევანდელ სამყაროში.
- უსდ-მ განიხილოს მიზნების განახლება, რათა გამოჩნდეს, რომ სწავლებისას გამოყენებული კვლევის მეთოდები არ არის მხოლოდ „ადეკვატური“ (მაგ. PLO 5).
- პირველივე შესაძლებლობის დროს, გადაიხედოს სწავლის შედეგები – რამდენად არის დაცული ბალანსი უნივერსიტეტებში / უფრო ფართო საგანმანათლებლო სფეროში აკადემიური კარიერისთვის და უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო სექტორების

გარეთ პროფესიული ფსიქოლოგიური კარიერისთვის ხალხის მომზადებას შორის. ეს მიმოხილვა უნდა მოიცავდეს ქართველ დამსაქმებელთა სრულ წარმომადგენლობით სპექტრს, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი პერსონალში მოითხოვონ კვლევის დონეზე ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მქონე პირები. თუ ეს შესაძლებელია, ეს უნდა მოიცავდეს დამსაქმებლებს, რომლებსაც ადრე არ ჰქონიათ კონსულტაცია პროგრამის შემუშავების პროცესში და რომლებსაც არ აქვთ წინასწარი კავშირი უნივერსიტეტთან.

#### **კომპონენტი 1.4**

- ამოღებული იქნეს დისერტაციის დაცვამდე პუბლიკაციის მოთხოვნა და ჩანაცვლდეს იგი დისერტაციის შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმებით, რათა დასკვნა იმის შესახებ, რამდენად შეძლო სტუდენტმა სწავლის შედეგების მიღწევა, გაკეთდეს თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ (დისერტაციის ზეპირ დაცვაზე) და არა ჟურნალების რედაქტორებისა თუ კონფერენციის ორგანიზატორების მიერ.

#### **კომპონენტი 3.2**

- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შიგნით ასისტენტების ხელმისაწვდომობა, რომლებსაც აქვთ საკმარისი ხელფასი დოქტორანტების მხარდასაჭერად.
- ან უნდა მოიხსნას დისერტაციის წარდგენამდე პუბლიკაციის მოთხოვნა, ან უნდა გაუმჯობესდეს მხარდაჭერა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოაქვეყნონ. ეს არის მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც უნდა იქნეს განიხილული.

#### **კომპონენტი 4.1**

- გაგრძელდეს ისეთი პერსონალის დანიშვნა, რომელთაც აქვთ როგორც საერთაშორისო ასევე, ეროვნული დონეზე გამოცდილება და ფოკუსი და შენარჩუნდეს პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც თავად თსუ-ში არ აქვს განათლება მიღებული. ორივე მიდგომა მნიშვნელოვანია ფაკულტეტის საერთო წვლილისთვის. ფაკულტეტმა უნდა მართოს პერსონალის მიღება, რათა უზრუნველყოს ახალგაზრდა მეცნიერების დანიშვნის რეგულარული შესაძლებლობები.
- სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესაძლებლობების შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, პერსონალს ჰქონდეს ტრენინგებისა და პროფესიული ზრდის მუდმივი შესაძლებლობა, ასევე კვლევის გამოცდილების ურთიერთგაზიარების შესაძლებლობა.
- სასურველია, პროგრამის მართვის პასუხისმგებლობა თანაბრად გადანაწილდეს პერსონალის გუნდში, რათა თავიდან იქნას აცილებული პასუხისმგებლობის გადაჭარბებული კონცენტრაცია პროგრამის ხელმძღვანელზე.

#### **კომპონენტი 4.2**

- მოეწყოს რეგულარული ტრენინგი სტუდენტებისთვის, საგრანტო ორგანიზაციების არჩევანში და/ან საგრანტო განაცხადების დაწერაში მხარდაჭერის მიზნით.



- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>  
მონაცემები არ არის
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების  
არგუმენტაციის თაობაზე
- ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწეული მიღწევების  
ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

---

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1. პროგრამის მიზნები

*პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კომპლექტს, რომელსაც პროგრამა მიზნად ისახავს რომ განავითაროს სტუდენტებში. პროგრამის მიზნები ასევე, ასახვენ პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.*

*საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი:*

*აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.*

პროგრამის მიზნები ნათლად არის მითითებული თვითშეფასების დოკუმენტსა და პროგრამის აღწერაში. ისინი აშკარად გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, ღირებულებებიდან და ხედვიდან. პირველი მიზანია „მომზადდეს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირება, მულტიდისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით“. ეს გამომდინარეობს თსუ-ის მისიიდან, შექმნას, შეინარჩუნოს და გაავრცელოს ახალი ცოდნა, განავითაროს უნივერსიტეტში კვლევის ტრადიცია და მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე. გამოყენებით კვლევებზე ზოგადი ფოკუსირება ასევე შეესაბამება თსუ-ს ხედვას ამ სფეროში „მზარდი აქცენტის“ განხორციელების შესახებ. ის ასევე ხელს უწყობს თსუ-ს, როგორც სადოქტორო პროგრამების უმსხვილესი პროვაიდერის სტატუსს ქვეყანაში. ეს პირველი მიზანი ასევე გამოხატავს ერთგულებას ეთიკური პრინციპებისადმი, რაც ასახავს თსუ-ს ღირებულებების განცხადებებს. უნივერსიტეტის ხედვა ორიენტირებულია იმაზე, რომ განათლება შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ამიტომ ამ პროგრამას ასევე აქვს გაცხადებული მიზანი მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადებაზე.

მეორე მიზანია „აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მაღალკვალიფიციური მკვლევარების და შესაბამისი კომპეტენციების მქონე პერსონალის მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფსიქოლოგიის სფეროში კვალიფიციური კვლევის ჩატარებას“. ეს მიზანი ასევე მომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, რომელიც მოიცავს "კონკურენტუნარიანი პერსონალის" მომზადებას და ინტერნაციონალიზაციის ხედვას, რათა რეალობად იქცეს

ინვესტიცია კვლევებში და აკადემიური პერსონალის მომზადება. ფსიქოლოგიის დისციპლინის პროგრამის შემუშავება მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის თვალსაზრისით, თუ გავითვალისწინებთ მის მიმართულებას გამოყენებით დისციპლინებზე და საზოგადოების განვითარებაზე და მის მიზანზე იყოს „თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრი“. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს არ არის სრულიად ახალი პროგრამა, არამედ უფრო სპეციალიზებული წინა პროგრამების კონსოლიდაცია ერთ პროგრამაში, რომელიც უკეთ ასახავს მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ფსიქოლოგიის დოქტორი). ამგვარად, უნივერსიტეტს აქვს ყველა საფუძველი, განაგრძოს თავისი წინა საქმიანობა ახლებურად.

წვლილი, რომელიც ფსიქოლოგიას შეუძლია შეიტანოს საკუთარი თავის შეცნობაში და იმაში, რომ მხარი დაუჭიროს ადამიანებს თავი გაართვან იმ უამრავ როლს, რომელიც მათ საზოგადოებაში უწევთ, პროგრამას მნიშვნელოვანს ხდის. ფსიქოლოგიას აქვს შინაგანი და მუდმივი კავშირი კვლევასთან, რადგან მისი აღმოჩენები იშვიათად თუ სრულად დეკონტექსტუალიზებულია და, შესაბამისად, პროფესიონალ ფსიქოლოგებს და აკადემიურ პერსონალს სჭირდებათ მუდმივი კვლევა, რათა ისარგებლონ თითოეული განსხვავებული კონტექსტით, რომელსაც ეს დისციპლინა იყენებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

მესამე მიზანია „მეცნიერული ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება აკადემიური და შრომის ბაზრისთვის ფსიქოლოგიის დარგში; რომელსაც შეუძლია წვლილი შეიტანოს საქართველოში ფსიქოლოგიის დარგის განვითარებაში და სასწავლო პროცესში ახალი სამეცნიერო იდეებისა და სიახლეების დანერგვა“. ეს მიზანი აერთიანებს უნივერსიტეტის რიგ მიზნებს. იგი აღიარებს, რომ უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სწავლება შესაძლებელია თავად უნივერსიტეტს დაუბრუნდეს, რადგან ფსიქოლოგიური ცოდნა გავლენას ახდენს სწავლისა და სწავლების პროცესის გამდიერებაზე. ეს განსაკუთრებული აქცენტი ასახავს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას (2018-2024). პედაგოგიკაზე აქცენტი ასევე შეესაბამება ფაკულტეტის ბუნებას, რომელიც არის *განათლებისა* და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. ეს მიზანი ასევე აღიარებს ფსიქოლოგიის ღირებულებას ფართო საზოგადოებაზე, რომელიც განათლების სფეროს აღემატება. ეს შეიძლება იყოს ისეთ სფეროები, როგორცაა ჯანმრთელობა, ან ორგანიზაციის ადამიანური მხარე, ისევე როგორც მრავალი სხვა სფერო.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთო მიზანია „ფსიქოლოგიის დარგის განვითარება საქართველოში“. პანელმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში ქართულ ენაზე სწავლება და სურვილი, რომ ფსიქოლოგია განვითარდეს საქართველოში, არ არის შესაბამისობაში ერთმანეთთან. ეს არის ინტერნაციონალური სფერო, რომელიც მუშაობს ინგლისურ ენაზე. გამორჩეულად ქართული წვლილის მუდმივი განვითარება მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის დისციპლინაში. ამავდროულად, საჭიროა დისციპლინის სრული ჩართულობა საერთაშორისო დონეზე. ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეებს შორის ამ შესაბამისობის მართვა მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. პრაქტიკულად რაშიც ეს შეუსაბამობა გამოიხატება, არის ის სტანდარტები, რომელიც მოითხოვს ინგლისური ენის გამოყენებას ქართულენოვანი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ. მიზანი შეიძლება გახდეს ინგლისური ენის კომპეტენციის გაზრდა, რამდენადაც ინგლისური საერთაშორისო დისციპლინის ლინგუა ფრანკაა.

პანელმა ასევე აღნიშნა, რომ გამოწვევები ექნებათ სტუდენტებს ამ პროგრამის ფარგლებში სწავლის დასაფინანსებლად. ეს არის პრობლემა საქართველოში არსებული ყველა სადოქტორო პროგრამისთვის. პანელს მიაჩნია, რომ ეს საკმარისად მნიშვნელოვანი საკითხია

და გასათვალისწინებელია იგი აისახოს პირდაპირ პროგრამის მიზნებში. პროგრამის მიზნები შესაძლოა აჩვენებდეს სერიოზულ მიზანს გაზარდოს დაფინანსების დონე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისათვის სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა სტუდენტების ძალისხმევა, ისწავლონ დოქტორანტურაში სრულ განაკვეთზე მუშაობის დროს. უნივერსიტეტი არ არეგულირებს იმ დროს, რომელსაც სტუდენტები უთმობენ უნივერსიტეტის გარეთ ანაზღაურებად სამუშაოს, სანამ ისინი დარეგისტრირებულნი არიან სტუდენტის სტატუსით და ეს აშკარად სერიოზულ რისკს უქმნის ხარისხს. აკადემიური ხარისხი (ამ კონტექსტში) გულისხმობს პროგრამის უნარს წარმატებით მოამზადოს სტუდენტები მიაღწიონ მისანიჭებელი კვალიფიკაციის მისაღწევად საჭირო აკადემიურ სტანდარტებს. თუ პროგრამის რეგულაციები საშუალებას აძლევს სტუდენტებს გადაიტვირთონ და ისწავლონ ძალიან ნელი ტემპით, ეს საფრთხეს ქმნის „ხარისხს“, მისი პირდაპირი გაგებით. ამ გზით დაფინანსების ნაკლებობა პირდაპირ აისახება პროგრამის ხარისხზე. პანელი მტკიცედ დაუჭერს მხარს უნივერსიტეტის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომ იმუშაოს თავისი სტუდენტების დაფინანსების დონის გაზრდაზე; ამასთან, დაარეგულიროს დრო, რომელიც სტუდენტებს შეუძლიათ გაატარონ სხვა სამუშაოზე.

ზოგადად, პანელის აზრით, პროგრამის მიზნები განზოგადების შესაფერის დონეზე იყო ჩამოყალიბებული, პროგრამის ფართო მასშტაბის გათვალისწინებით, რომელიც მთლიანად ფარავს დოქტორანტურის მოთხოვნებს ფსიქოლოგიაში. თუმცა, მიზნები უფრო მკაფიო იქნება, თუ დაზუსტდება კვლევის ტიპები, და გამოიკვეთება ის ცოდნა და უნარები, რომელსაც სტუდენტი შეიძენს დასახული მიზნების მისაღწევად. პროგრამისთვის მომგებიანი იქნება, თუ დაზუსტდება განსაკუთრებით სამი სფერო: (i) როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომელიც ჩართული იქნება როგორც ექსპერიმენტულ, ასევე საველე კვლევებში; (ii) გამოიკვეთება როგორც ემპირიული, ისე თეორიულ/კონცეპტუალური მუშაობა ფსიქოლოგიაში; და (iii) უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა საუნივერსიტეტო კონტექსტის მიღმა პროფესიონალ ფსიქოლოგად სამუშაოდ, ასევე ის უნარები, რომლებიც საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლად მომუშავე აკადემიური პერსონალისათვის. პროგრამის მიზნების გაძლიერებული დახასიათება უფრო ნათლად ასახავს დისციპლინის განვითარების უმაღლეს დონეს და აჩვენებს, რომ პროგრამა იცნობს წამყვან საერთაშორისო ფსიქოლოგიურ კვლევებს, თანამედროვე პედაგოგიური განვითარების მიღწევებს და პროფესიონალი ფსიქოლოგების პრაქტიკულ საჭიროებებს საქართველოში არსებული გარემოებების ფართო სპექტრის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების დოკუმენტი, გვ. 8-10 და მასში მითითებული დოკუმენტები.
- „თსუ-ის შესახებ“ <https://www.tsu.ge/en/page/About-University>.
- შეხვედრები, მათ შორის ადმინისტრაციულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დოქტორანტებთან და სტუდენტებთან.
- თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სხვა დოკუმენტაცია

**რეკომენდაციებით**

- o საჭიროა გარკვეული მიზნების შემუშავება, რათა უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ნაკრები, რომელიც პროგრამამ უნდა განავითაროს თავის კურსდამთავრებულებში. ეს მოიცავს კვლევის, ცოდნისა და უნარების ტიპების დაზუსტებას, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს და რომლითაც უნდა აღიჭურვოს სტუდენტი მოცემული მიზნების მისაღწევად. მაგალითად: (i) როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები როგორც ექსპერიმენტული, ასევე სავლე კვლევებისთვის; (ii) როგორც ემპირიული, ასევე თეორიული/კონცეპტუალური სამუშაო ფსიქოლოგიაში; და (iii) როგორც ის უნარები, რომლებიც საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ პერსონალდ მუშაობისთვის, ასევე პროფესიონალ ფსიქოლოგად მუშაობისთვის, უნივერსიტეტის მიღმა.
- o საჭიროა მუშაობა მიზნების ზემოაღნიშნული განვითარების შედეგების უფრო ნათლად ჩამოსაყალიბებლად, ისე, რომ ისინი ეხებოდეს მთლიანად პროგრამას.
- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- პროგრამის მიზნებმა ნათლად მოიცვას ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო დაფინანსების მზარდ დონეს, რათა სტუდენტები, რომლებიც ისარგებლებენ პროგრამით, დაფინანსდნენ მთელი სწავლის განმავლობაში.
- პროგრამის მიზნების ფარგლებში ხაზგასმით აღინიშნოს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნულ ერთ-ერთ ევროპულ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) კომპეტენციის მუდმივი განვითარების მნიშვნელობა; იდიალურ შემთხვევაში – ინგლისურში, რომელიც არის დისციპლინის ლინგვა ფრანკა. ეს ეხება ყველა სტუდენტს და პერსონალს, ინტერნაციონალურ დისციპლინაში მათი სრული ჩართულობის მხარდასაჭერად. ეს გულისხმობს პროგრამაზე ჩარისცხვისას მოთხოვნილი საბაზისო ცოდნის (B2) მუდმივ განვითარებას, რათა სტუდენტმა მიაღწიოს უფრო მაღალ დონეს (მაგ. C1), რომელიც საშუალებას მისცემს მას შეძლოს უფრო რთული ტექნიკური მასალის ათვისება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან პანელის შეფასებით პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციები აჩვენებს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს შესაბამისობის დონის ასამაღლებლად.

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<b>X</b>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო სფეროს სპეციფიკასთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რასაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პანელს მიეწოდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მკაფიო აღწერა (დოქტორანტურის პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში). მიზნები და სწავლის შედეგები ეფექტურად არის წარმოდგენილი. პანელმა მოისმინა და წაიკითხა, რომ დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავებაში, თუმცა პანელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პროგრამის გუნდს გაუჭირდა ამ სამუშაოში უნივერსიტეტის სექტორის გარეთ დამსაქმებელთა სრულად წარმომადგენლობითი სპექტრით ჩართვა. ეს აისახა თავად შედეგებში, რასაც უნდა ეჩვენებინა უნივერსიტეტის სისტემის გარეთ დამსაქმებელთა პროფესიული საჭიროებების უფრო ძლიერი ჩართულობა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ფსიქოლოგიის დოქტორი არ შემოიფარგლება მხოლოდ მათთვის, ვინც დაინტერესებულია მხოლოდ სწავლებით. აქედან გამომდინარე, შედეგები შეიძლება ყოფილიყო მეტ შესაბამისობაში იმ კომპეტენციებსა და სხვა მოთხოვნებთან, რასაც ითხოვენ დამსაქმებლები საუნივერსიტეტო სექტორის გარეთ.

თავად სწავლის შედეგები აშკარად დაკავშირებულია დარგის მოთხოვნებთან. თანამედროვე ფსიქოლოგიის პრობლემების კრიტიკული შეფასების კომბინაცია (PLO 1) უახლეს მიგნებებზე, მეთოდებსა და მიდგომებზე ფოკუსირებით (PLO 2, PLO 3) ხაზს უსვამს იმას, რომ პროგრამა ფოკუსირებული იქნება თანამედროვე დისციპლინაზე და არა ისტორიულ ელემენტებზე. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „თანამედროვე“ ორაზროვანია, რადგან ის შეიძლება ეხებოდეს ფსიქოლოგიის მთელ ისტორიას თანამედროვე პერიოდში დეკარტის შემდეგ და ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებას მეცხრამეტე საუკუნეში. ალტერნატიულად, ეს შეიძლება ეხებოდეს უბრალოდ თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერებისა და რეფლექსიის დღევანდელ წამყვან როლს. აქცენტი უნდა გაკეთდეს ამ უკანასკნელზე და, როგორც ჩანს, ეს არის სასურველი (PLO 9), ისევე როგორც ის, რაც საჭიროა რომ შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონის აღმწერებს. ამიტომ შესაძლოა უკეთესი იყოს „თანამედროვე“-ს ნაცვლად სხვა ტერმინის პოვნა.

თანამედროვე ცოდნის გათვალისწინებით ფსიქოლოგიის პრაქტიკა, აკადემიურ თუ პროფესიულ კონტექსტში, მოითხოვს მუდმივ მონაწილეობას კვლევაში ახალი ცოდნის გამომუშავებისთვის. აქცენტი სტუდენტის უნარზე, გამოიმუშავოს ახალი ცოდნა ინოვაციური კვლევების წარმოებით, კვლევასთან ასოცირებულ სტრატეგიებითა და მეთოდებით და შედეგების სრულყოფილი ანალიზით, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და დისციპლინის ხასიათთან. აღსანიშნავია, რომ კვლევის სტრატეგიები და

მეთოდები აღწერილია, როგორც მხოლოდ „ადეკვატური“ (PLO 5). შერჩეული კვლევის მეთოდები უნდა ასახავდეს ფსიქოლოგიის თანამედროვეობას და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სისტემატური და მაღალი ხარისხის სწავლებით. ამიტომ საჭიროა უფრო ძლიერი ტერმინი, ვიდრე „ადეკვატური“, პროგრამის ყველა ასპექტში კვლევის მეთოდებზე სათანადო ფოკუსირების უზრუნველსაყოფად.

სწავლის შედეგები, ზოგადად, საკმარისია პროგრამისთვის, მაგრამ პანელს მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება უფრო ნათლად ჩანდეს, რომ სხვადასხვა მიზნები დაბალანსებულია ერთმანეთთან მიმართებაში. სწავლების მეთოდებზე ფოკუსირება (PLO 4) პირდაპირ გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან, რაც თავის მხრივ, მთლიანად უნივერსიტეტის ხედვიდან გამომდინარეობს. ეს, იმ მიზანთან ერთად, რომ სტუდენტებს ფსიქოლოგიის უმაღლესი განათლების კონტექსტში სწავლის საშუალება მისცენ (PLO 6), დაკავშირებულია მომავალი საუნივერსიტეტო აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნებთან. ეს არის ლეგიტიმური შედეგები ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის და ეს მისასაღმებელია. თუმცა, ამ შედეგებში არ ჩანს, რომ ზოგიერთი მხოლოდ იმიტომ სწავლობს დოქტორანტურაში, რომ მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენოს უნივერსიტეტის კონტექსტის მიღმა, რომელიც არ გულისხმობს სწავლებას, არამედ ფოკუსირებულია პრაქტიკასა და კვლევაზე კონკრეტულ გამოყენებით კონტექსტში. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას ახორციელებს განათლებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, გასაგებია, რომ დიდი აქცენტი კეთდება სტუდენტის ჩართვაზე განათლებაში. თუმცა, პროგრამა არ შემოიფარგლება მხოლოდ საგანმანათლებლო საკითხებით. ამიტომ მუდმივი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სწავლის შედეგები დარჩეს დაბალანსებული, რათა პროგრამამ შეძლოს მიაღწიოს თავის მიზანს, მოამზადოს კურსდამთავრებულები სხვადასხვა სფეროებში პროფესიული საქმიანობისთვის, ისევე, როგორც აკადემიური კარიერის გზისთვის.

აქცენტი საერთაშორისო და ასევე ეროვნულ დისკუსიებზე/ფორუმებზე, კონფერენციებზე და საზოგადოების ჩართულობაზე (PLO 7) მნიშვნელოვანია და გამომდინარეობს მიზნებიდან. მნიშვნელოვანია ეროვნული პერსპექტივა. პროგრამის მიზანმიმართული ჩართულობა ქართულ ინტელექტუალურ და სოციალურ კონტექსტში, საშუალებას იძლევა პროგრამამ გამორჩეული წვლილი შეიტანოს ფსიქოლოგიურ საქმიანობაში საერთაშორისო დონეზე. ეს იმიტომ ხდება, რომ მთელი ფსიქოლოგია გარკვეულწილად არის კონტექსტის გავლენის ქვეშ და ამიტომ ქართული კონტექსტი წარმოადგენს უნიკალური თეორიული და ემპირიული შეხედულებების პოტენციურ წყაროს ფართო სფეროსთვის. ამავდროულად, საერთაშორისო პერსპექტივაზე ფოკუსირება უნდა გაგრძელდეს. ვინაიდან პერსონალი და სტუდენტები მიზანმიმართულად ჩაერთვებიან დისციპლინის საერთაშორისო დონეზე განვითარებაში, ეს იქნება საშუალება, რომ საქართველოში არსებული ინტელექტუალური და პრაქტიკული მუშაობა ფსიქოლოგიაში არსებითად გამდიდრდეს სხვაგან მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით. საერთო ჯამში, მიზანი უნდა იყოს ისეთი, რომ შექმნას ურთიერთსასარგებლო კავშირი ეროვნულ და საერთაშორისო პერსპექტივებს შორის.

უწყვეტი განათლების, პროფესიული განვითარების, თანამშრომლობისა და ეთიკური პრაქტიკის ვალდებულებები (PLO 8, PLO 9, PLO 10) თანმიმდევრულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების დოკუმენტი და მითითებული დოკუმენტაცია

- o სადოქტორო პროგრამის აღწერა
- o კურიკულუმის რუკა
- o ETF ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო – საქართველო
- o კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს საფუძვლად არსებული დონის აღმწერები
- o შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან და ა.შ.
- o უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სხვა დოკუმენტაცია

**რეკომენდაციები:**

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, უსდ-მ თავი აარიდოს სწავლის შედეგებში ტერმინის "თანამედროვე" გამოყენებას, რაც ხაზს უსვამს დისციპლინის წამყვან ადგილს დღევანდელ სამყაროში.
- უსდ-მ განიხილოს მიზნების განახლება, რათა გამოჩნდეს, რომ სწავლებისას გამოყენებული კვლევის მეთოდები არ არის მხოლოდ „ადეკვატური“ (მაგ. PLO 5).
- პირველივე შესაძლებლობის დროს, გადაიხედოს სწავლის შედეგები – რამდენად არის დაცული ბალანსი უნივერსიტეტებში / უფრო ფართო საგანმანათლებლო სფეროში აკადემიური კარიერისთვის და უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო სექტორების გარეთ პროფესიული ფსიქოლოგიური კარიერისთვის ხალხის მომზადებას შორის. ეს მიმოხილვა უნდა მოიცავდეს ქართველ დამსაქმებელთა სრულ წარმომადგენლობით სპექტრს, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი პერსონალში მოითხოვონ კვლევის დონეზე ფსიქოლოგიური ექსპერტიზის მქონე პირები. თუ ეს შესაძლებელია, ეს უნდა მოიცავდეს დამსაქმებლებს, რომლებსაც ადრე არ ჰქონიათ კონსულტაცია პროგრამის შემუშავების პროცესში და რომლებსაც არ აქვთ წინასწარი კავშირი უნივერსიტეტთან.
- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

მთლიანობაში სწავლის შედეგები ბუნებრივად გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან, მათთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. ისინი წარმოადგენს იმ შედეგებს, რომლებიც მოსალოდნელია ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამისგან. შესაბამისად, ისინი შეესაბამება სტანდარტის ამ კომპონენტის მოთხოვნებს.

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1. 3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**



- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმები, მისი რეგულაციებისა და აკრედიტაციის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებები უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე უზრუნველყოფენ შესაფერის პროცედურებს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის მკაფიო პროტოკოლების მეშვეობით. შეფასების ჯგუფი სათანადოდ არის ორგანიზებული წევრებით, რომლებსაც აქვთ განსხვავებული როლები, საერთო შეხედულების ჩამოსაყალიბებლად. მეთოდები, მათ შორის პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმების რეგულარულად გამოყენება, ძალიან მიზანშეწონილია. უკუკავშირის სქემები კარგად შემუშავებული, სრულყოფილია.

პროგრამას აქვს შესაბამისი სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს და ახორციელებს მათ შედარებას განსაზღვრულ ნიშნულებთან. პროგრამას ასევე აქვს შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა პროგრამის გაუმჯობესებისთვის. შეფასების გათვალისწინებული სქემა მოიცავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის ყველა სავალდებულო კურსსა და კვლევის კომპონენტს შორის.

ჩანს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აკადემიური პერსონალის ჩართულობით შემუშავდა. ეს დადასტურდა ინტერვიუების დროს, რომლებშიც პერსონალის მიერ იყო ნახსენები სხვადასხვა შედეგი კონკრეტულ კურსებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღწერა თავიანთი როლი ზოგად პროცესში და გამოთქვა ღიაობა შემდგომი განვითარებისთვის. პროგრამის პერსონალი იღებს დახმარებას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კურსთან/კვლევის კომპონენტებთან მიმართებაში უნდა განხორციელდეს მათი დასრულების შემდეგ. რაც შეეხება არაპირდაპირ მექანიზმებს, პროგრამა და მასთან დაკავშირებული მონაცემები შეგროვდება სემესტრულად, გამოკითხვით, სულ მცირე, ყოველწლიურად. პანელმა დაასკვნა, რომ სათანადოდ იქნა გათვალისწინებული თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე საკვლევი არეალის და განათლების დონის თავისებურებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და

ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

პანელი ადასტურებს, რომ პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის რეგლამენტის შესაბამისად, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მიწოდებული დოკუმენტაციით და გასაუბრებებით. ასევე აღინიშნა, რომ პროგრამის შემუშავებისას კონსულტაციები გაიარეს საერთაშორისო უნივერსიტეტებთან. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის შემუშავებაში იყო ჩართული სასწავლო პერსონალი. ვინაიდან ეს პროგრამა არის ადრე არსებული პროგრამების გაერთიანება, პანელმა დაინახა ზოგადი კმაყოფილება მასწავლებლების მხრიდან მისი დიზაინის მიმართ. რამდენადაც ეს არის წინა პროგრამების პირდაპირი შთამომავალი და იცნობენ რა ამ წინა პროგრამების მუშაობას, პერსონალს აქვს განცდა, რომ ყველაფერი კარგად იმუშავებს.

პანელმა წაიკითხა და ასევე მოისმინა, რომ პროგრამა სტრუქტურირებულია ისე, რომ კვლევის ელემენტთან ერთად შეიცავდეს სასწავლო ელემენტს, რომელიც შედგება 50 ECTS კურსისგან.

ამ სასწავლო კომპონენტის ზომა ძირითადად შეესაბამება სადოქტორო პროგრამებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. სადოქტორო პროგრამები (მთლიანობაში) ჩვეულებრივ არ არის შეფასებული კრედიტით და ამიტომ არ არსებობს შედარებისთვის სტანდარტული ზომა. ამ სასწავლო ელემენტის შემადგენელი ნაწილები ბუნებრივად გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან. სავალდებულო კურსები მოიცავს კვლევის მეთოდებსა და სტატისტიკას (15 კრედიტი), სწავლებას (15 კრედიტი მოდულის და ასისტენტ პროფესორის როლის ჩათვლით) და სადოქტორო სემინარს (10 კრედიტი). არჩევითი კურსი საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიაროს გარკვეული სპეციალიზაციის საგნები ეკლექტიკური სპექტრით, ასევე აძლევს თავისუფლებას გაიაროს კურსები თსუ-ს გარეთ (ეროვნული ან საერთაშორისო) შემდგომი არჩევითი 10 კრედიტისთვის.

პროგრამის კვლევითი კომპონენტი დაყოფილია სამ ეტაპად ორი კვლევითი პროექტით, რომლებიც ფასდება განმავითარებელი შეფასებით, საბოლოო სადოქტორო დისერტაციის შემაჯამებელ შეფასებამდე. მთლიანობაში დოქტორანტურას მინიმუმ სამი წელი სჭირდება; არსებობს მინიმალური სადოქტორო სტანდარტები ნაშრომის მახასიათებლების დასაზუსტებლად.

პანელმა ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ პროგრამის შემადგენელი ნაწილები ქმნიან თანმიმდევრულ და ლოგიკურ პროგრამას, რომელიც ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში, საშუალებას მისცემს სტუდენტებს მიაღწიონ სწავლის შედეგებს. პანელმა დაადგინა, რომ პროგრამა წარმოიქმნა წინა, უფრო სპეციალიზებული პროგრამების ბაზაზე, გაერთიანდა ერთ საერთო სადოქტორო პროგრამად "ფსიქოლოგია", რათა მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყოს ფართო, ნაცვლად ვიწრო სპეციალიზაციისა. ამ ერთი სადოქტორო პროგრამის ფართო მასშტაბის გათვალისწინებით, პროგრამის აღწერილობის განზოგადებული დონე შესაფერისია. მისაღებია არჩევითი კურსების ღია და ეკლექტიკური სია. მასში შედის არჩევითი საგნები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა დოქტორანტურის თემებისთვის (მეცნიერების მენეჯმენტი, სოციალური მეცნიერებების სტატისტიკური პაკეტი დოქტორანტებისთვის), და ასევე საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაერთონ მათ სადოქტორო კვლევასთან დაკავშირებულ, მაღალ სპეციალიზებულ და ეზოთერულ სფეროებში, სადაც არ უნდა იყოს ეს შეთავაზებული მსოფლიოში. თსუ ნამდვილად მოითხოვს, რომ სხვა დაწესებულებებში გავლილი კურსები იყოს მაღალი სტანდარტისა და სტუდენტის სადოქტორო სამუშაოსთვის შესაფერისი.

პროგრამის ფარგლებში კვლევითი პროექტების ხარისხი, სწავლის შედეგების ფორმულირება, სწავლისა და სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა წარმოდგენას უქმნის პანელს, რომ მისანიჭებელი ხარისხი შეესაბამება შინაარსს და პროგრამის სწავლის შედეგებს. თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე პანელი დარწმუნდა, რომ არსებობს დიდი ენთუზიაზმი, რომ პროგრამამ მიაღწიოს უმაღლეს აკადემიურ დონეებს. პანელი მიესალმა ამ მისწრაფებას და ასევე აფასებს დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში სტუდენტებისათვის გაწეულ მხარდაჭერას, ისწავლონ როგორ უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები რეცენზირებად ჟურნალებში და მაღალი პროფილის კონფერენციებზე.

პანელს მიაჩნია, რომ მოთხოვნა, ორი ნაშრომი გამოაქვეყნდეს დისერტაციის დაცვამდე, ძალიან მკაცრია მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმხორციელებელი ენთუზიასტი პერსონალი ეთანხმება მოცემულ წესს. პროგრამები მოითხოვს, რომ ეს პუბლიკაციები იყოს "რეცენზირებადი სამეცნიერო სტატიები ისეთი მაღალი რანგის საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო ნაშრომებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და აქვთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი)". ერთ-ერთი პუბლიკაცია უნდა იყოს

”საერთაშორისო ჟურნალის ან კონფერენციის შრომებში, რომელიც ინდექსირებულია Scopus ან Web of Science”. ნორმალურია სადოქტორო პროგრამის სტუდენტს მოეთხოვებოდეს რეცენზირებადი ნაშრომის შექმნა და ეს პრაქტიკა უნდა იქნეს წახალისებული და მხარდაჭერილი. ამასთან, როდესაც ეს მოთხოვნაა, ეს ნიშნავს, რომ დისერტაციის წარდგენის დრო დამოკიდებული იქნება კონფერენციებისა და ჟურნალის რედაქტორების ადმინისტრაციულ პროცესებზე, რომელზეც უნივერსიტეტს არ აქვს კონტროლი. ამან შეიძლება დააზარალოს ზოგიერთი სტუდენტი. აკადემიური გამოცემების უაღრესად კონკურენტუნარიანი ბუნება ასევე ნიშნავს, რომ შეიძლება სტუდენტებს მოუწიოთ გააგზავნონ თავიანთი ნაშრომები შედარებით დაბალხარისხიან ჟურნალებში, რათა დროულად მოესწროს გამოქვეყნება, ნაცვლად იმისა, რომ მიზნად დაისახონ მაღალხარისხიან ჟურნალებში გამოქვეყნება. მომავალში შესაძლოა თსუ-ს საკუთარი ჟურნალი გახდეს ამ პრობლემის ნაწილი. მთავარია, პროგრამის სწავლის შედეგები მიღწეული იქნეს დისერტაციით, მაშინაც კი, თუ მისი შინაარსი არ არის მისაღები რეცენზირებადი, ინდექსირებული ჟურნალისთვის. სადოქტორო ნაშრომისა და ჟურნალის მოთხოვნების შეფასების კრიტერიუმები ერთმანეთთან ახლოსაა, მაგრამ არ არის ზუსტად ერთნაირი. და ჟურნალის გამოცემლებსა და კონფერენციის ორგანიზატორებისთვის შეფასების უფლების გადაცემით უნივერსიტეტმა შესაძლოა დახმარება არ გაუწიოს თავის სტუდენტებს. უნივერსიტეტი უფრო დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ ძალისხმევაში, შეაფასოს თავისი სტუდენტები.

ამის საფუძველზე, პანელის რჩევაა, შეფასების ეს მიდგომა იყოს რეგულარული განხილვისა და გულდასმით შემოწმების საგანი. ეს უნდა მოიცავდეს სტუდენტების პუბლიკაციების წარმატების მაჩვენებლების შემოწმებას, პუბლიკაციების გავლენას სადოქტორო ნაშრომის წარდგენის დროზე და იმ ჟურნალებისა და კონფერენციების ხარისხის შემოწმებას, რომლებიც გამოიყენება ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად. მოკლედ, პანელის აზრით, უნდა იყოს ძლიერი მხარდაჭერა ჟურნალის პუბლიკაციისთვის, მაგრამ დისერტაციის წარდგენამდე პუბლიკაციის მოთხოვნა შეიძლება არ იყოს გამოსადეგი. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პანელმა დაადგინა, რომ ქართულ კონტექსტში იმის გამო, რომ სადოქტორო პროგრამები ისედაც დაფინანსების ნაკლებობას განიცდის, სასურველია თავიდან იქნეს აცილებული მოთხოვნები, რომელიც დამატებით ხარჯებს უკავშირდება და რომლებიც ან ზედმეტად მძიმეა, ან რომლებიც სწავლის პერიოდის გახანგრძლივებას იწვევს.

აკადემიურ გუნდთან შეხვედრისას პანელისთვის ასევე ცხადი გახდა, რომ, ზოგადად, არის სტუდენტების ჩართულობის კარგი დონე, რომლებიც ხშირად განიხილებიან როგორც პარტნიორები და თანამშრომლები კვლევა-წარმოების პროცესში. ეს მიუთითებს კვლევითი საქმიანობისა და აკადემიური თანამშრომლობის მისასაღებელ კულტურაზე, რაც კარგ კონტექსტს იძლევა სადოქტორო სწავლებისთვის. კვლევისა და თანამშრომლობის ეს კულტურა დასაფასებელია. ამიტომ, ჩვენ ველოდებით, რომ ადვილი იქნება დაინერგოს ხელმძღვანელობის მინიმალური სტანდარტები, რათა სტუდენტებს გაეწიოთ უფრო მაღალი ხარისხის ხელმძღვანელობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების დოკუმენტი და მასში მითითებული დოკუმენტაცია
- პროგრამის აღწერილობა

- მინიმალური სადოქტორო სტანდარტი
- შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან
- შეხვედრა ადმინისტრატორებთან
- შეხვედრა დოქტორანტების ხელმძღვანელებთან
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 გადაწყვეტილება – „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და შემუშავების პროცედურის დამტკიცების შესახებ“.
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სხვა დოკუმენტაცია.

**რეკომენდაციები:**

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
- ამოღებული იქნეს დისერტაციის დაცვამდე პუბლიკაციის მოთხოვნა და ჩანაცვლდეს იგი დისერტაციის შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმებით, რათა დასკვნა იმის შესახებ, რამდენად შეძლო სტუდენტმა სწავლის შედეგების მიღწევა, გაკეთდეს თსუ სადისერტაციო საბჭოს მიერ (დისერტაციის ზეპირ დაცვაზე) და არა ჟურნალების რედაქტორებისა თუ კონფერენციის ორგანიზატორების მიერ.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

პანელი მიესალმა გადაწყვეტილებას, რომ შეიქმნას ერთი სადოქტორო პროგრამა ფსიქოლოგიაში უფრო სპეციალიზებული პროგრამების ნაცვლად და თანხმდება, რომ პროგრამის საერთო მიდგომა და სტრუქტურა არის მისანიჭებელი ხარისხის შესაბამისი. პანელს მიიჩნია, რომ პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.5. სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სასწავლო დარგის აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

სადოქტორო პროგრამას მთლიანობაში (მათ შორის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები) ჩვეულებრივ არ აქვს კრედიტების საერთო რაოდენობა და ეს ასეა აქ. სასწავლო კომპონენტს აქვს კრედიტების განსაზღვრული რაოდენობა (50 ECTS) და ეს შესაფერისია, როგორც სწავლისა და სწავლების საერთო სტრატეგიის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას სწავლის შედეგების მისაღწევად. ასევე საჭიროა მაღალი ხარისხის ხელმძღვანელობა. ამრიგად, პროგრამის ხარისხი დამოკიდებული იქნება ხელმძღვანელების კვალიფიკაციაზე, გამოცდილებასა და უნარებზე, ხელმძღვანელობის პირობებზე და სტუდენტთა ჩართულობის დონეებსა და პერიოდებზე. ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტები იქნება ბიბლიოთეკა და კვლევითი რესურსები.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ნაწილდება სასწავლო კურსების შინაარსის მიხედვით. ასევე, საკონტაქტო საათების რაოდენობა ადეკვატურად არის განაწილებული სწავლებასა და დამოუკიდებელ სამუშაოს შორის. მაგალითად, სასწავლო კურსში საველე სემინარი, რომელიც ისწავლება ერთ სემესტრში, წარმოდგენილია 10 კრედიტით (დანარჩენი კურსები, გარდა პროფესორის ასისტენტობისა, არის 5 კრედიტი), მოიცავს კვირაში 1 საათიანი კონსულტაციის გაკვეთილებს (სულ 15 საკონტაქტო საათი) და 235 საათიან დამოუკიდებელ სამუშაოს (პროგრამაში ყველაზე დიდი რაოდენობის დამოუკიდებელი სამუშაო საათები). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საგანში სრულად არის გათვალისწინებული კურსის სპეციფიკა და საჭიროებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების დოკუმენტი და მასში დამოწმებული დოკუმენტები
- ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალი: საგნების სია
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სხვა

დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

მთლიანობაში, კურსის შინაარსი შესაფერისია იმისთვის, რომ სტუდენტებმა მიაღწიონ სწავლის შედეგებს ფსიქოლოგიის სადოქტორო დონეზე. ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურა შესანიშნავ კონტექსტს იძლევა ამისათვის. თუმცა, ეს უნდა იყოს გამყარებული მინიმალური სტანდარტებით, რომლითაც შემოწმდება ხელმძღვანელობის სიხშირე და შინაარსი. ეს უზრუნველყოფს, რომ მოსალოდნელი ხარისხი შესრულებადია.

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

**2. სწავლებისამება მოთხოვნებსა მოთხოვნებთან, სწავლის შედეგები და მათქსტადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უმაღლეს სასწავლებელს აქვს პროგრამის მიღების წინაპირობები, რომელიც არის შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. წინაპირობების მიხედვით, აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში
- ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში

დოქტორანტებს მოეთხოვებათ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, რომლის დასამტკიცებლად საჭიროა ან მოქმედი ენის სერტიფიკატის წარდგენა ან თსუ-ს მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის ტესტის ჩაბარება. ყველა კანდიდატმა უნდა წარადგინოს კვლევის წინადადება და წარუდგინოს მიმღებ კომიტეტს გასაუბრებაზე. თითოეულ კანდიდატს ასევე მოეთხოვება რეკომენდაცია ან თანხმობა პოტენციური ხელმძღვანელისგან.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრის ხარისხის მქონე სტუდენტების მიღება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სტუდენტებს ასევე ენიჭებათ შიდა და გარე მობილობის უფლება. დოქტორანტმა, რომელსაც სურს სწავლა ქართულენოვან პროგრამაზე და რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, უნდა წარმოადგინოს ქართული ენის ცოდნის სერტიფიკატი B2 დონეზე ან ჩააბაროს თსუ-ს მიერ ორგანიზებული ქართული ენის წერთი გამოცდა.

ვინაიდან ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ახალია და ფაკულტეტს ჰყავს მრავალი შეჩერებული სტატუსის სტუდენტი არსებულ სადოქტორო პროგრამებზე, უნივერსიტეტმა შეიმუშავა მობილობის ინსტრუქციები. არარეგულარული მობილობის პროცესი განისაზღვრება შემდეგი პროცედურის შესაბამისად:

- ფაკულტეტის საბჭო და დარგობრივი საბჭო ამტკიცებენ კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელია კრიტერიუმების განსაზღვრაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე არსებული სტუდენტების ახალ პროგრამაზე გადაყვანის შესახებ
- შესაბამისად, არარეგულარული მობილობა ცხადდება თსუ სასწავლო პროცესის დებულების შესაბამისად
- კანდიდატებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, უნდა წარუდგინონ კვლევის წინადადება შერჩევის კომიტეტს, რათა დაამტკიცონ, რომ დისერტაცია კვლავ აქტუალურია და შესაბამისია თანამედროვე მოთხოვნებთან.

პროგრამაზე სტუდენტების მიღება განისაზღვრება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თსუ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების მიხედვით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის კონტინგენტი დაგეგმილია სპეციალური ფორმულის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ: ბოლო წლებში მსურველთა რაოდენობა, სტუდენტთა მობილობის შემთხვევების რაოდენობა, უნივერსიტეტის რესურსები და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. ადმინისტრაციის მიერ განხილული დოქტორანტების რაოდენობა არის 10.



**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა ფსიქოლოგიაში
- თვითშეფასების ანგარიში
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-საიტი
- ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების დებულება;
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- o წინადადება(წინადადებები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების წესებისა და პროცედურების მიხედვით და შეესაბამება საუნივერსიტეტო სტანდარტს, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას. ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროფესორის ასისტენტობა შედის საგანმანათლებლო კომპონენტის სავალდებულო კომპონენტად, რაც გულისხმობს: ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ჯგუფში მუშაობის, ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკული სამუშაოს/პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას; „საბავშვო უნივერსიტეტის“ სტუდენტებისთვის სალექციო კურსის კითხვას;

შუალედური და დასკვნითი საგამოცდო საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას; სამაგისტრო ნაშრომების განხილვას; თუ დოქტორანტი იმავდროულად არის თსუ-ს ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული სპეციალისტი, ატარებს ლექციას/პრაქტიკულ/სემინარს/ლაბორატორიულ მეცადინეობას, შესრულებული სამუშაო შეიძლება ჩაითვალოს პროფესორის ასისტენტად. ამას ადასტურებს თვითშეფასების ანგარიში, კურსის სილაბუსი: „პროფესორის ასისტენტობა“ და გასაუბრების შედეგები.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს „კვლევის ემპირიულ მეთოდოლოგიას“, „კვლევის რაოდენობრივ მეთოდებს და სტატისტიკას“, „ხარისხიანი კვლევის მეთოდებს“ და „საველე სემინარს“ და ასევე კვლევით პროექტებს სამეცნიერო უნარების განვითარების მიზნით. სამეცნიერო კვლევითი პროექტები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განავითარონ სადისერტაციო ნაშრომის დასრულებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. ის ასევე ხელს უწყობს პუბლიკაციების მომზადებას, რომლებიც საჭიროა წერილობითი ნაშრომის წარდგენისთვის.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მხრიდან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში „ფსიქოლოგია“ სამეცნიერო უნარების განვითარებაში ხელშეწყობა გამოიხატება ისეთი ღონისძიებებით, როგორცაა უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდი, რომელიც შექმნილია კონკურსის საფუძველზე სტუდენტთა კვლევის დასაფინანსებლად; სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება; მივლინებები საერთაშორისო კონფერენციებზე დოქტორანტებისა და მათი ხელმძღვანელებისთვის, რომლებიც აკეთებენ ზეპირ/წერილობით პრეზენტაციას; ნაშრომის გამოქვეყნება ჟურნალში „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“, რომელიც შექმნილია კონკრეტულად დოქტორანტების დისერტაციების მხარდასაჭერად; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საგრანტო კონკურსში დოქტორანტების (ახალგაზრდა მეცნიერების) მონაწილეობის მხარდაჭერა. ქართველი მეცნიერების საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე პოპულარიზაცია და მათი სამეცნიერო ნაშრომების ხილვადობის გაზრდა მხარდაჭერილია ახალი Erasmus+ პროგრამის HERD პროექტით (საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა). მისი მიზანია შექმნას ერთობლივი კვლევითი პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას სამიზნე უნივერსიტეტებში. ამრიგად, დოქტორანტები/მეცნიერები მოიზიდავენ დაფინანსებას ევროპული წყაროებიდან და ჩაერთვებიან სხვადასხვა საგრანტო პროექტებში. პროგრამისთვის სასარგებლოა პროფესორის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაც. ეს დასტურდება როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან, ასევე გასაუბრების შედეგებიდან.

პროგრამის კიდევ ერთი უპირატესობაა მისი კვლევითი კომპონენტი, რომელიც ორიენტირებულია შემდეგი კომპეტენციების განვითარებაზე: დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმვა; საკვლევი კითხვის ან კვლევის ჰიპოთეზის ფორმულირება, კვლევის დიზაინის შერჩევა, მასალების მოძიება, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების შეგროვება, დასკვნის გამოტანა, შედეგების სამიზნე საზოგადოებისთვის წარდგენა. კურსდამთავრებულები გასაუბრებაზე ადასტურებენ ზემოთ აღნიშნულ შედეგებს.

თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული სილაბუსების განხილვის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი აგებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფსიქოლოგიის“ უახლესი მიღწევებისა და კვლევის ტენდენციების მიხედვით. გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ძირითადად საერთაშორისოა და ასახავს უახლეს ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერა და სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დანართი 4)
- დოქტორანტურის დებულება (დანართი 11)
- ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში პროგრამის სტუდენტების მონაწილეობის შესახებ: [www.tsu.ge](http://www.tsu.ge)

რეკომენდაციები:

- o წინადადება(წინადადებები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისო ბაშია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისო ბაშია მოთხოვნებ თან	ნაწილობრ ივ შესაბამისო ბაშია მოთხოვნებ თან	არ შეესაბამება მოთხოვნებ ს
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	✓	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„ფსიქოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სწავლა-სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომლებიც წარმოდგენილია პროგრამის სილაბუსებში. ესენია: განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; შედარებითი ანალიზის მეთოდი; ინდივიდუალური მუშაობა; გუნდური მუშაობა; დისკუსია/დებატები; პრეზენტაცია; თანამშრომლობითი სწავლა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); პრაქტიკული მეთოდი; პროექტი; მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ელექტრონული სწავლება (E-learning).

სტუდენტის ინდივიდუალურ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროცესის მართვის სისტემის ([lms.tsu.ge](http://lms.tsu.ge)) და ელექტრონული სასწავლო პორტალის ([elearning.tsu.ge](http://elearning.tsu.ge)) მეშვეობით. სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს მიღებული შეფასების შედეგები.

პროგრამაში სწავლა მიმდინარეობს ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული სამუშაოების სახით. სწავლებისა და სწავლის მეთოდები კურსებში გამოიყენება მოქნილად, კონკრეტული საჭიროების შესაბამისად. მაგალითად, დოქტორანტებისთვის SPSS კურსი იყენებს სწავლა-სწავლების შემდეგ მეთოდებს: დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; განმარტებითი მეთოდი; მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლა. ასევე შეიძლება აღინიშნოს კურსი სავლე სემინარი, რომელიც იყენებს შემდეგ მეთოდებს: ზეპირი/წერილობითი მეთოდი, დისკუსია/დებატები, წიგნზე მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი/პრეზენტაცია, წერიტი მუშაობის მეთოდი, ჯგუფური მუშაობის მეთოდი.

რომ შევაჯამოთ, სწავლის მეთოდები შეესაბამება სადოქტორო პროგრამის დონეს და კურსის შინაარსს.

პროგრამას აქვს სასწავლო გეგმის რუკა, სადაც აღწერილია, თუ როგორ უკავშირდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი კონკრეტულ სასწავლო კურსს. სასწავლო გეგმის რუკაში "ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიის სილაბუსში" პროგრამის სწავლის შედეგი მითითებულია PLO 9 - ახორციელებს და წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებსა და კვლევით პროექტებს უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით - თუმცა სასწავლო გეგმის რუკაში სწავლის შედეგი არ მიუთითებს ნომერს. ალბათ ეს ტექნიკური შეცდომაა და ჩანაწერი უნდა იყოს PLO 9-ის ნაცვლად PLO 8.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა განაწილებულია სასწავლო კურსების შინაარსის მიხედვით. ასევე, საკონტაქტო საათების რაოდენობა ადეკვატურად არის განაწილებული სწავლებასა და დამოუკიდებელ სამუშაოს შორის. მაგალითად, სასწავლო კურსში "სავლე სემინარი", რომელიც ისწავლება ერთ სემესტრში, წარმოდგენილია 10 კრედიტით (დანარჩენი კურსები, გარდა პროფესორის ასისტენტობისა, არის 5 კრედიტიანი), მოიცავს კვირაში 1 საათიანი კონსულტაციის გაკვეთილებს (სულ 15 საკონტაქტო საათი) და 235 საათიან დამოუკიდებელ მუშაობას (ყველაზე მეტი დამოუკიდებელი მუშაობის საათები პროგრამაში). აღსანიშნავია, რომ მოცემულ საგანში სრულად არის გათვალისწინებული კურსის სპეციფიკა და საჭიროებები.

სწავლის მეთოდები შეესაბამება სადოქტორო სწავლების დონეს და კურსის შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ COVID-ის პანდემიის დროს უნივერსიტეტმა შეიძინა ონლაინ სწავლებისა და სათანადო ელექტრონული კურსების გამოცდილება, გასაუბრებისას პერსონალი ადასტურებს ოფლაინ რეჟიმის აუცილებლობას. შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი არ არის მზად, მხარი დაუჭიროს დისტანციური სწავლების რეჟიმს, თუნდაც საერთაშორისო სტუდენტების დასწრებით.

სილაბუსებისა და სხვა ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი თითოეული სასწავლო კურსისათვის.

სილაბუსებში წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია თითოეული კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად. ლიტერატურა ხელმისაწვდომია ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. ასევე, თავად პროფესორები აწვდიან სტუდენტებს საჭირო ლიტერატურას, რაც დასტურდება გასაუბრებებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გასაუბრებისას სტუდენტებმა მიუთითეს კვლევითი სტატიების გამოქვეყნების სირთულეებზე. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ უნივერსიტეტის მხარდაჭერა ძირითადად გრანტების და/ან სხვა მხარდაჭერის პროგრამების სახით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათ შეძლონ თავიანთი ნაშრომების გამოქვეყნება. სტუდენტებს მოეთხოვებათ 2 სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში, რაც საკმაოდ რთული პროცესია და ასევე დაკავშირებულია მაღალ ხარჯებთან. სასურველია მეტი მხარდაჭერა გაეწიოს სტუდენტებს თავიანთი სტატიების გამოქვეყნებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერა (დანართი 1)
- სილაბუსები (დანართი 1)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (დანართი 4)
- გამოკითხვის ინსტრუმენტები და გამოკითხვის შედეგები (დანართი 14)
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება No68/2018 – „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“; <https://www.tsu.ge/ka/legalakad/15977>
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება No71/2018 – „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“; <https://www.tsu.ge/ka/legalakad/15980>
- ელექტრონული პლატფორმები, მაგ.: Zoom-ის ინსტიტუციური ვერსია,
- <https://lms.tsu.ge/> and <https://e-learning.tsu.ge/>

რეკომენდაციები:

- o წინადადება(წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს უსდ-მ, პროგრამამ, სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის ყველა დოკუმენტაციის სისწორე. კერძოდ, სასწავლო გეგმის რუკაში პროგრამის სწავლის შედეგების მითითებების გადამოწმება, რათა უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი ყოვლისმომცველია და მიუთითებს პროგრამის სწავლის შედეგის სწორ ნომერზე (მაგ. PLO 9).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლები სა და სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

სტუდენტების შეფასების სისტემა იქმნება თითოეული პროგრამისთვის, ხოლო თითოეული სილაბუსი აღწერს შეფასების მეთოდს და ფორმას; სწავლების მეთოდები ნათელია და ადაპტირებულია კურსის სწავლის შედეგებზე. სწავლის შედეგების შეფასება გაადვილებულია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე სტუდენტებისათვისაც, რადგან სწავლების მეთოდები ადაპტირებულია თითოეული კურსის მიზანთან. შეფასების სისტემა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით და შესაბამისად ფასდება მოსწავლის სწავლის შედეგები და მოსწრება. სტუდენტები შეფასებას იღებენ სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) დახმარებით.

საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერადს) და საბოლოო გამოცდას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს (საშინაო დავალების დემონსტრირებას, ჯგუფში მუშაობას, პრეზენტაციას, ზეპირ/წერილობით გამოკითხვას, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულებას, დისკუსიებში მონაწილეობას და ა.შ.)

ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს აქვს გარკვეული წილი საბოლოო შეფასებაში შეფასების საერთო 100 ქულიდან, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტებს აკადემიური სემესტრის დასაწყისში. სხვადასხვა აქტივობებიდან და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე თითოეული პროფესორი წყვეტს, თუ როგორ გადაანაწილოს ქულები კომპონენტების მიხედვით. ეს ინფორმაცია სტუდენტებმაც დაადასტურეს და ამ პროცესთან დაკავშირებით არანაირი გაუგებრობა არ ყოფილა.

დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ არსებობს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობა - მინიმუმ 2 სამეცნიერო პუბლიკაცია, ასევე 2 სამეცნიერო კვლევითი პროექტი და ზეპირი პრეზენტაცია. უნივერსიტეტის მიერ დაარსებულ ჟურნალში არსებობს სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების კარგი შანსი.

გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს საგამოცდო ქულის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში შედეგების და შუალედური და დასკვნითი გამოცდების გასაჩივრების მექანიზმი ელექტრონული სისტემით - <http://lms.tsu.ge>, რაც კომფორტულია მათთვის. როგორც აღინიშნა, ისინი მას ხშირად არ იყენებენ, რადგან გამოცდებზე შეფასებები ხდება სამართლიანად. თუმცა, მათ გაიხსენეს სტუდენტების გამოცდილება, რომლებმაც გაასაჩივრეს და მათი ნაშრომები განიხილეს რეგულაციებისა და წესების შესაბამისად.

ყველა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართულნი დოქტორანტების პროგრესის შეფასების პროცესში და კვლევასა და დისერტაციაზე მუშაობისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- სამაგისტრო პროგრამა და სასწავლო გეგმა
- ელექტრონული პორტალი: Lms.tsu.ge
- ელექტრონული პორტალი: e-learning.tsu.ge
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 3 ბრძანება.

რეკომენდაციები:

- o წინადადება(წინადადებები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

### 3. სტუდენტთაამება მოთხოვნებსა მინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტების შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს

უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სათანადო ხარისხის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

### 3.1 სტუდენტის საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

უსდ-ს პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები იღებენ გზამკვლევობას თითოეული პროფესორისაგან. პროფესორები ხელმისაწვდომნი არიან კონსულტაციასთან დაკავშირებით. სტუდენტებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ მათ და უშუალოდ მოითხოვონ მათ კურსთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. ხელმძღვანელები და პროფესორები მზად არიან ნებისმიერ დროს კონსულტაციისათვის, თუ სტუდენტს ესაჭიროება მათი მხრიდან რაიმე სახის დახმარება, ისინი დაუყოვნებლივ იღებენ მას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. შენობა, რომელიც მასპინძლობს ორივე პროგრამას, შეიცავს რამდენიმე სივრცეს, რომელიც შექმნილია სტუდენტთა კონსულტირების ხელშესაწყობად.

გარდა ამისა, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ აქვთ წვდომა თსუ-ს კარიერული მხარდაჭერის სერვისებზე, სტაჟირების მხარდაჭერისა და სამომავლო დასაქმების შესაძლებლობებზე. ისინი ყოველდღიურად იღებენ ელექტრონულ წერილებს ახალი კონფერენციების, ახალი სამუშაო შესაძლებლობებისა და ნებისმიერი აქტივობის შესახებ, რომელშიც მათ შეიძლება სურდეთ მონაწილეობის მიღება.

ინტერვიუში გამოიკვეთა სტუდენტების დადებითი დამოკიდებულება აკადემიური პერსონალის მიმართ. ისინი ყოველთვის მზად არიან გაუზიარონ სტუდენტებს ყველა სახის ინფორმაცია და რჩევა, რათა გააუმჯობესონ საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო პროცესები. უფრო მეტიც, სტუდენტებმა შეხვედრებზე აღნიშნეს, რომ მათ ექცევიან როგორც თანასწორ და მომავალ კოლეგებს; პერსონალის ეს დამოკიდებულება და ქცევა მოტივაციას უჩენს სტუდენტებს. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ წვდომა ყველა ინფორმაციაზე, რომელიც დაკავშირებულია კონფერენციებთან, სტაჟირებასთან და ტრენინგებთან, რომლებიც ტარდება უნივერსიტეტის შიგნით. უზრუნველყოფილია Moodle-ის უფასო ონლაინ სწავლის მართვის სისტემა (e-learning.tsu.ge), რათა დაეხმაროს სტუდენტებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილზე წვდომაში.

გარდა ამისა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა საშუალებას აძლევს ყველა სტუდენტს შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თავისი „პროფილის“ მეშვეობით, გაეცნოს მათ მიერ გავლილ სასწავლო კურსებში მიღებულ ქულებს, მიიღოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მიმდინარე ინფორმაცია და ა.შ. ასევე, [lms.tsu.ge](https://lms.tsu.ge)



და e-learning.tsu.ge პორტალები აქტიურად გამოიყენება უნივერსიტეტის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის. მათ უფასოდ აქვთ წვდომა ელექტრონულ რესურსებზე, როგორებიცაა მსოფლიოს უდიდესი საერთაშორისო გამომცემელი JSTORE, Elsevier, ჟურნალებზე, რომლებიც ინდექსირებულია Web of Science და Scopus მონაცემთა ბაზებში და სხვა.

გამღიერებული მობილობის თვალსაზრისით, დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სპეციალური გრანტები და Erasmus+ მობილობის გრანტი. გარდა ამისა, რიგი კონფერენციები, რომლებიც ტარდება თსუ-ში, ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტებისთვის, რათა გამოიყენონ როგორც პლატფორმები თავიანთი კვლევების წარმოსაჩენად. თუ ნაშრომის გავლენა იქნება საკმარისად მაღალი, კვლევის მონაცემების გამოქვეყნება დაფინანსდება.

გარდა ამისა, არიან საერთაშორისო სტუდენტები უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. აკადემიური პერსონალი ასევე რთავს საერთაშორისო სტუდენტებს სასწავლო პროცესში და პროექტებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა, დოქტორანტურა.
- პროგრამა და კურიკულუმი (დოქტორანტურა)
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- ადგილზე ვიზიტი

**რეკომენდაციები:**

- o წინადადება(წინადადებები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელდეს სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს კმაყოფილება ნაშრომების ხელმძღვანელობით: ისინი მალალ დონეზე აფასებენ აკადემიური გუნდის სპეციალისტების მიერ მათ ხელმძღვანელობას. ზოგიერთ მათგანს ჰყავდა ერთზე მეტი ხელმძღვანელი, რაც დადებით მხარედ იქნა აღიარებული. ისინი არიან თავიანთი სფეროს კვალიფიციური სპეციალისტები და სტუდენტები მათგან იღებენ სწორ ხელმძღვანელობას. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს სწავლების გამოცდილება. დისერტაციის ხელმძღვანელი შეირჩევა შესაბამის საკვლევ თემაზე სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მიხედვით. სწავლების მეთოდი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. Erasmus+ გაცვლითი პროგრამის ბენეფიციარმა ზოგიერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალისგან პროგრამის შესახებ იღებს საკმარისზე მეტ ინფორმაციას.

გარდა ამისა, 2021 წლიდან ფაკულტეტი მონაწილეობს Erasmus+ Consortium-ის პროექტში: „საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ფსიქოლოგიური სამსახურის შექმნა“, რაც ძალიან კარგი მხარდაჭერაა ფაკულტეტის მიერ ინიცირებული ფსიქოლოგიური საკონსულტაციო და ტრენინგ ცენტრისათვის.

მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჩართულები არიან კვლევით და გაცვლით პროგრამებში. აკადემიური პერსონალის დახმარებით ისინი ასევე მონაწილეობენ კონფერენციებში. დოქტორანტებმა დაადასტურეს, რომ ეს მათ საშუალებას აძლევს გამოიყენონ მონაცემები თავიანთ კვლევებში და გამოსაქვეყნებელ სტატიებში. ამის მიუხედავად, სტუდენტებმა და დოქტორანტებმა გამოთქვეს სურვილი მათ საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობაში ფინანსური მხარდაჭერის აუცილებლობის თაობაზე. ეს დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში, როგორც „გასაუმჯობესებელი სფერო“.

ინტერვიუს დროს, სტუდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ მათ უკვე გამოაქვეყნეს თავიანთი სტატიები რეფერირებად ჟურნალებში. ზოგიერთი მათგანი მუშაობს პროექტებსა და კვლევით ნაშრომებზე და სასწავლო წლის ბოლოსათვის ამზადებს სტატიებს გამოსაქვეყნებლად. გარდა ამისა, ერთ-ერთი სტუდენტი ფლობს საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის სტიპენდიას. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს სირთულეები კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნებაში. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ უნივერსიტეტის მხარდაჭერა ძირითადად გრანტების და/ან სხვა მხარდაჭერის პროგრამების სახით არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მათ შეძლონ თავიანთი ნაშრომების გამოქვეყნება. სტუდენტებს მოეთხოვებათ 2 სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში, რაც საკმაოდ რთული პროცესია და ასევე

დაკავშირებულია მაღალ ხარჯებთან. სასურველია სტუდენტებს გაეწიოს მეტი მხარდაჭერა თავიანთი სტატიების გამოქვეყნებაში.

სტუდენტების უმეტესობა იწყებს მუშაობას ხელმძღვანელების ან სხვა აკადემიური პერსონალის რეკომენდაციით. თუმცა, სტუდენტებს სამუშაოს პოვნაში დაეხმარება შესაძლოა უწევდეს დასაქმების საკონსულტაციო სამსახური. სტუდენტების კარიერული განვითარების ცენტრი მათ ყოველდღიურად უჭერს მხარს შრომის ბაზრის შესაძლებლობებისა და პერსპექტივების შესახებ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების მეშვეობით. სტუდენტები კარიერის განვითარების ცენტრიდან ელექტრონული ფოსტით იღებენ შეტყობინებებს ახალი სამუშაო შესაძლებლობების შესახებ.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს ნეგატიური დამოკიდებულება უნივერსიტეტში დასაქმების/ასისტენტობის თაობაზე. როგორც აღნიშნეს, მათთვის უმჯობესია, რომ სხვა სამუშაოს შესწავლის პროცესში ბევრი დრო და რესურსი არ დახარჯონ. ამ მხრივ ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი, რადგან კვლევით ნაშრომებზე მუშაობას საკმაოდ დიდი დრო და ენერჯია სჭირდება. მათთვის უკეთესი იქნებოდა, რომ სამსახური თავად უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, ისეთი ხელფასით, რომელსაც სხვა დამსაქმებელი სთავაზობს, რათა მეტი დრო დაუთმონ აკადემიურ მუშაობას.

ჯგუფმა განეწყო დადებითად ფაკულტეტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების მიმართ და აღნიშნა იმ პერსონალის მხარდამჭერი დამოკიდებულება, რომლებიც მუშაობენ მკვლევარ სტუდენტებთან ერთად. მან ასევე აღნიშნა რამდენიმე კარგი გამოცდილება ხელმძღვანელობით სწავლებაში. თუმცა, ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, რომ კვლევის ეს კულტურა უნდა იყოს გამყარებული ხელმძღვანელობითი სწავლების მინიმალური სტანდარტებით, რომლებიც ეფექტურად განხორციელდება ყველა დოქტორანტისათვის. ხელმძღვანელობის ორგანიზების არაფორმალურობა და სტუდენტების ოპორტუნისტული ჩართვა პერსონალის პროექტებში, სავარაუდოდ, ზოგიერთ სტუდენტს აძლევს შესანიშნავ გამოცდილებას, მაგრამ არა ყველას. არ არსებობს მინიმალური სტანდარტები ხელმძღვანელობის შეხვედრების შინაარსისა და სიხშირის შესახებ. არ არსებობს სტუდენტთა ხელმძღვანელობის ფორმალური მონიტორინგი (დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი განსაზღვრავს მხოლოდ იმას, რომ „სამეცნიერო ხელმძღვანელი უწევს დოქტორანტს კონსულტაციებს, როდესაც გეგმავს აკადემიურ და კვლევით პროცესს შესაბამის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან ერთად“, იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დანართი 1, მუხლი 5. ასევე არსებობს მინიმალური სტანდარტები პროგრამის ხელმძღვანელებისთვის. იხილეთ დანართი 2, პროგრამის ხელმძღვანელი. თუმცა, დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელობის მხარდაჭერის მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფა და მონიტორინგი არ არსებობს). ასევე, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სტუდენტი შეძლებს ჩაერთოს პერსონალის კვლევით პროექტში, რათა სარგებელი მიიღოს ამ გამოცდილებიდან. ზოგიერთი სტუდენტი სავარაუდოდ იღებს ასეთ სარგებელს, მაგრამ ჯგუფმა აღნიშნა, რომ ეს გარანტირებული არ არის ყველა შემთხვევაში. პროგრამის აღწერამ ნათლად უნდა აჩვენოს სტუდენტებისთვის ყველა შესაძლებლობა, რომელსაც წვლილი შეაქვს სწავლის შედეგების მიღწევაში. ყველაფერი, რაც ამ დოკუმენტში შედის, უნდა იყოს უზრუნველყოფილი თითოეული სტუდენტისათვის. თუ კონკრეტული შესაძლებლობა არ არის გარანტირებული ყველა სტუდენტისათვის, მაშინ ნათელი უნდა იყოს სხვა გზები, რომლითაც შესაძლებელია

ეკვივალენტური მხარდაჭერის უზრუნველყოფა სწავლის შედეგების მისაღწევად.

ხელმძღვანელობის ღონისძიებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი პროგრამებისთვის, რომლებშიც სწავლების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია ხელმძღვანელობითი ურთიერთობის მეშვეობით და ამიტომ, ამ სფეროში ხარისხის უზრუნველსაყოფად ფორმალურ სისტემებზე ფოკუსირება ძალზე მნიშვნელოვანია.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	0
მაგისტრანტთა/დოქტორანტთა რაოდენობა	0
თანაფარდობა	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამა, დოქტორანტურა.
- სადოქტორო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტები
- პროგრამა და კურიკულუმი (დოქტორანტურა)
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
- ძლიერი თანამშრომლობითი კვლევის კულტურის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ პროგრამის ყველა ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტს სწავლის შედეგების მიღწევაში, ფორმალურად არის განსაზღვრული. უზრუნველყოფილი იყოს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად ერთი და იმავე დონის მხარდაჭერა ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, არაფორმალურობაზე დამოკიდებულების გარეშე. ეს მოითხოვს დოკუმენტირებულ მინიმალურ სტანდარტებს, სადაც განსაზღვრული იქნება ხელმძღვანელებთან შეხვედრების რაოდენობა, სიხშირე და შინაარსი. უნდა განხორციელდეს ამ სტანდარტების გამოყენების მონიტორინგი თითოეულ სტუდენტთან მიმართებით, რათა ფაქულტეტმა შეძლოს მინიმალური (ან უკეთესი) სტანდარტის უზრუნველყოფის ჩვენება ყველა შემთხვევაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შიგნით ასისტენტების ხელმისაწვდომობა, რომლებსაც აქვთ საკმარისი ხელფასი დოქტორანტების მხარდასაჭერად.

- ან უნდა მოიხსნას დისერტაციის წარდგენამდე პუბლიკაციის მოთხოვნა, ან უნდა გაუმჯობესდეს მხარდაჭერა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოაქვეყნონ. ეს არის მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც უნდა იქნეს განიხილული.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

## 4. სწავლებისამება მოთხოვნებსა მოთხოვ

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსები

- > პროგრამის პერსონალი შედეგზე კვალიფიციური პირებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.
- > პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე მათი კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის და სხვა დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ასევე შესაბამისი კომპეტენციები პროგრამის სასწავლო სფეროში. ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის აღწერა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 31 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 8 პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი). აკადემიური პერსონალი აკადემიურ თანამდებობებს იკავებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურსის წესით. პროგრამის განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათდამი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალისთვის დააწესა გარკვეული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დადგენილება №118/2014, 2014 წლის 22 დეკემბერი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ).

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, სასწავლო და კვლევითი გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაში ჩართულ პროფესორებსა და მოწვეულ მასწავლებლებს აქვთ აუცილებელი კომპეტენცია, რათა სტუდენტებს გამოუმუშაონ სწავლის შედეგები ფსიქოლოგიის სფეროში, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი და სხვადასხვა დონის სწავლებისა და კვლევის გამოცდილება, როგორც ეს დასტურდება მათ მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით. პანელი განეწყო დადებითად ფაკულტეტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების მიმართ და აღნიშნა იმ პერსონალის მხარდამჭერი დამოკიდებულება, რომელიც მუშაობს მკვლევარ სტუდენტებთან ერთად. მან ასევე აღნიშნა რამდენიმე კარგი გამოცდილება ხელმძღვანელობით სწავლებაში.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის რეკომენდებულ მეთოდოლოგიას (უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ბრძანება №. 05-03, 07.03.2018) და ადეკვატურია პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობისა. გარდა სწავლებისა, საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალი ჩართულია სტუდენტთა კონსულტაციისა და პროგრამის შემუშავების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი გამოირჩევა არა მხოლოდ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი მიღწევებით, არამედ აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური, საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობით, რასაც

მოწმობს კადრების გამოკითხვის შედეგები და მათი ავტობიოგრაფიული მონაცემები.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს უახლესი ცოდნა, მეცნიერების უახლესი მიღწევების შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარი და ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილება. საკვლევითი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტი იწვევს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრების სპეციალისტებს სადისერტაციო თემის ხელმძღვანელებად, ასევე, მიზანშეწონილია მეორე ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) იყოს თსუ აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი.

თანამშრომლებს შორის არის კვლევისა და გამოქვეყნების ფართო გამოცდილება. პერსონალის ცალკეული წევრები მეტ-ნაკლები სიხშირით აქვეყნებენ სხვადასხვა სახის პუბლიკაციებს სხვადასხვა სფეროებში. ზოგი ფოკუსირებულია პროექტებზე, რომლებიც უშუალოდ ემსახურება ქართულ საზოგადოებას, ზოგი კი უფრო საერთაშორისო ფოკუსირებას ახდენს; პერსონალის ზოგიერთი პუბლიკაცია ძალიან მაღალ აკადემიურ დონეზეა. განათლებისა და ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნების შესაბამისად, ზოგი დაკავებულია ეროვნულ დონეზე ფსიქოლოგიითა და განათლებით, მუშაობს ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვან პროექტებზე და აქვეყნებს როგორც აკადემიურ, ისე უფრო პოპულარულ ფორუმებზე. სხვა თანამშრომლებს აქვთ უფრო ინტერნაციონალური გამოცდილება და უფრო ძლიერი აკადემიური ფოკუსი, ზოგჯერ აქვეყნებენ უფრო მაღალ აკადემიურ დონეზე. ზოგიერთ პერსონალს აქვს ძლიერი სტატისტიკური კომპეტენცია და ამით შეუძლია ეფექტურად შეუწყოს ხელი რაოდენობრივი მეთოდების სწავლებას. საფუძვლიანი იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ პერსონალის მნიშვნელოვან ნაწილს ჰქონდეს საკუთარი კვლევითი ტრენინგი თსუ-ში, რაც მართლაც დასტურდება.

ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. კერძოდ, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში. ფაკულტეტის შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები ემსახურება დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალისთვის სწავლის, სწავლებისა და კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნას: ბიბლიოთეკა, კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახური, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი, რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მათი საქმიანობის სფერო, მიზნები და ძირითადი ფუნქციები რეგულირდება ფაკულტეტის დებულებით (SER). თვითშეფასების ანგარიშის ინფორმაცია გამოიყურება საკმაოდ დამაჯერებლად.

ონლაინ შეხვედრის დროს დაფიქსირდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა თითქმის ყველა დასმულ კითხვას. სასურველი იქნებოდა პასუხისმგებლობების უფრო თანაბარი განაწილება.

ჯგუფი ფაკულტეტს ურჩევს, გააგრძელოს გამოცდილების მქონე კადრების დანიშვნა, ფოკუსირდეს საერთაშორისო დონეზე ისევე როგორც ეროვნულ დონეზე, და შეინარჩუნოს პერსონალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თავად არ იყო გადამზადები თსუ-ში. საქმიანობის ორივე ჰორიზონტი მნიშვნელოვანია ფაკულტეტში

